17/02/2023

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის დაბადებიდან 90 და აღსაყდრებიდან 45 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი ,,მარადიული ღირებულებები და მარად ცვალებადი სამყარო“

ა.წ. 15-17 თებერვალს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი ,,მარადიული ღირებულებები და მარად ცვალებადი სამყარო“, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლის იუბილეს.

აღნიშნული ღონისძიება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა და მასში მონაწილეობა ათზე მეტი ქვეყნის სამეცნიერო და სასულიერო წრის წარმომადგენელმა მიიღო.

კაცობრიობისათვის მუდამ საჭირო იყო და იქნება როგორც მარადიული ღირებულებები, ასევე მარად ცვალებადი სამყაროს მოთხოვნების გათვალისწინება. შეცდომა ამ ღირებულებათა დაპირისპირებაა, რასაც ადგილი აქვს ჩვენს დროშიც.

სიმპოზიუმის ამოცანაა განათლების, კულტურისა და სამართლის სფეროში გამოინახოს გზები ამ დაპირისპირებული პოზიციების დაახლოებისა და შემდგომი ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, ასევე ხელი შეეწყოს განსხვავებულ მსოფლმხედველობათა და კულტურათა შორის დიალოგს, სამოქალაქო მშვიდობის განმტკიცებასა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიტყვა სიმპოზიუმის მონაწილეთადმი:

ქრისტესმიერ საყვარელო დანო და ძმანო, ყველას გულითადად მოგესალმებით და მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამ სიმპოზიუმში მონაწილეობისთვის.

თემა, – ,,მარადიული ღირებულებები და მარად ცვალებადი სამყარო“ ყველა დროის საუკეთესო მოაზროვნეებისთვის ყველაზე აქტუალური საკითხი იყო, ასეა ჩვენს რეალობაშიც, თანამედროვე ცხოვრებაში. მიმაჩნია, რომ წარმავალი და წარუვალი, უცვალებელი სამყაროს ურთიერთმიმართების პრობლემის გადაჭრა სარწმუნოებრივი საკითხია. მორწმუნე ადამიანი მარადიულობისთვის უნდა ცხოვრობდეს და ყოველდღიურ ყოფაში მიწიერთან ერთად, რა თქმა უნდა, სულიერსაც უნდა ითვალისწინებდეს და მის ქმედებას ჭეშმარიტება და ჭეშმარიტი სწავლება უნდა ედოს საფუძვლად.

ამ ფონზე ნათლად იკვეთება მეცნიერების როლიც, რადგან რწმენაც და ცოდნაც ჭეშმარიტების ორი ფრთაა, რომელიც სულიერი განვითარებისათვის ყოველთვის აუცილებელი იყო და არის, – როგორც ამას კლიმენტი ალექსანდრიელი ბრძანებს.

როდესაც ვსწავლობთ გარემოს, მიკრო და მაკრო კოსმოსს, ვსწავლობთ ადამიანს... არ შეიძლება არ გაგაოცოს და მადლიერებითა და მოწიწებით არ აღგავსოს აქ გაცხადებულმა ღვთის დიდებულებამ, – საოცარმა წესრიგმა, სიბრძნემ, მიზეზშედეგობრიობამ, ინდივიდუალიზმმა... და, რა თქმა უნდა, ყოველივე ამის შემქმნელმა შემოქმედმა.

თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, მკვლევარები არიან ამ რეალობასთან ყველაზე

ახლოს.

ამიტომაც წერდა აინშტაინი: ,,მეცნიერება, რომელიც არ ეფუძნება რელიგიას, ნდობას არ იმსახურებს“ და კიდევ: ,,მე მწამს ღმერთის, როგორც პიროვნების და ჩემი სინდისი მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ არცერთი წუთი ჩემი ცხოვრებისა არ ვყოფილვარ ათეისტი“. რა თქმა უნდა, მსგავსი პოზიცია მანამდეც და შემდგომაც ძალიან ბევრ ცნობილ ფიზიკოსს, მათემატიკოსს, ფილოსოფოსს, ბიოლოგს, მიკრობიოლოგს, ექიმს, ასტრონომს, მწერალს, კულტურის სფეროს წარმომადგენელს... აქვს გამოთქმული და ვიმედოვნებ, თქვენც თქვენს წვლილს შეიტანთ ამ უმნიშვნელოვანესი თემის ახლებურად წარმოჩენაში.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და თქვენი ცხოვრების ბოლომდე გამსახუროთ ჭეშმარიტებას, გამსახუროთ ღმერთს და ადამიანს.

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

B.V.

Tel: (995 32) 2990378
E-mail: patriarchateofgeorgia@gmail.com

Address of the Catholicos-Patriarch of All Georgia
to the Participants of the International Symposium
"Eternal Values and the Ever-changing World"

Beloved Brothers and Sisters in Christ!

I cordially greet you all and I would like to extend my gratitude to you for participating in this symposium.

The topic – "Eternal Values and the Ever-changing World" has always been the most topical issue for the best thinkers of all time. It remains true to our reality, to modern life, as well. I believe that solving the problem of interconnection between the transitory world and the unchanging one is primarily a matter of faith. A believer should devote his life to eternity, and in his daily life, along with earthly matters, should, certainly, consider spiritual ones, with his actions based on Truth and the True Teaching.

Against this background, the role of science is clearly defined, because both faith and knowledge are the two wings of the Truth, which have always been and will always be necessary for spiritual development - as Clement of Alexandria said.

When we study the environment, the micro and macro cosmos, we study man... One cannot but be amazed and filled with gratitude and awe at the glory of God revealed here, - the amazing order, wisdom, causality, individualism... and, of course, the Creator Who made it all. Researchers, due to their work, are the closest to this reality.

Therefore, Einstein wrote: "Science, which is not based on religion, does not deserve trust", he also wrote: "I believe in God as a Person, and my conscience allows me to say that I have never been an atheist for a minute in my life."

Of course, many well-known physicists, mathematicians, philosophers, biologists, microbiologists, doctors, astronomers, writers, representatives of the fields of culture have expressed a similar position prior to him and after him. I hope you too will contribute to presenting this most important topic in a new way. May God bless you, fill you with joy and strength to serve the Truth, serve God and man, for the rest of your life.

Catholicos-Patriarch of All Georgia,
Archbishop of Mtskheta and Tbilisi,
Metropolitan of Bitchvinta and Tskhum-Apkhazeti

16.02.2023

ტელ: (995 32) 2990378
ელ-ფოსტა: patriarchateofgeorgia@gmail.com
Tel: (995 32) 2990378
E-mail: patriarchateofgeorgia@gmail.com

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთადმი „მარადიული ღირებულებები და მარად ცვალებადი სამყარო“

ქრისტესმიერ საყვარელო დანო და ძმანო, ყველას გულითადად მოგესალმებით და მინდა მადლობა გადაგიხადოთ ამ სიმპოზიუმში მონაწილეობისთვის.

თემა, - „მარადიული ღირებულებები და მარად ცვალებადი სამყარო“ ყველა დროის საუკეთესო მოაზროვნეებისთვის ყველაზე აქტუალური საკითხი იყო, ასეა ჩვენს რეალობაშიც, თანამედროვე ცხოვრებაში. მიმაჩნია, რომ წარმავალი და წარუვალი, უცვალებელი სამყაროს ურთიერთმიმართების პრობლემის გადაჭრა სარწმუნოებრივი საკითხია. მორწმუნე ადამიანი მარადიულობისთვის უნდა ცხოვრობდეს და ყოველდღიურ ყოფაში მიწიერთან ერთად, რა თქმა უნდა, სულიერსაც უნდა ითვალისწინებდეს და მის ქმედებას ჭეშმარიტება და ჭეშმარიტი სწავლება უნდა ედოს საფუძვლად.

ამ ფონზე ნათლად იკვეთება მეცნიერების როლიც, რადგან რწმენაც და ცოდნაც ჭეშმარიტების ორი ფრთაა, რომელიც სულიერი განვითარებისათვის ყოველთვის აუცილებელი იყო და არის, - როგორც ამას კლიმენტი ალექსანდრიელი ბრძანებს.

როდესაც ვსწავლობთ გარემოს, მიკრო და მაკრო კოსმოსს, ვსწავლობთ ადამიანს... არ შეიძლება არ გაგაოცოს და მადლიერებითა და მოწიწებით არ აღგავსოს აქ გაცხადებულმა ღვთის დიდებულებამ, - საოცარმა წესრიგმა,

სიბრძნემ, მიზეზშედეგობრიობამ, ინდივიდუალიზმმა... და, რა თქმა უნდა, ყოველივე ამის შემქმნელმა შემოქმედმა.

თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, მკვლევარები არიან ამ რეალობასთან ყველაზე ახლოს.

ამიტომაც წერდა აინშტაინი: „მეცნიერება, რომელიც არ ეფუძნება რელიგიას, ნდობას არ იმსახურებს“ და კიდევ: „მე მწამს ღმერთის, როგორც პიროვნების და ჩემი სინდისი მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ არცერთი წუთი ჩემი ცხოვრებისა არ ვყოფილვარ ათეისტი“. რა თქმა უნდა, მსგავსი პოზიცია მანამდეც და შემდგომაც ძალიან ბევრ ცნობილ ფიზიკოსს, მათემატიკოსს, ფილოსოფოსს, ბიოლოგს, მიკრობიოლოგს, ექიმს, ასტრონომს, მწერალს, კულტურის სფეროს წარმომადგენელს... აქვს გამოთქმული და ვიმედოვნებ, თქვენც თქვენს წვლილს შეიტანთ ამ უმნიშვნელოვანესი თემის ახლებურად წარმოჩენაში.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და თქვენი ცხოვრების ბოლომდე გამსახუროთ ჭეშმარიტებას, გამსახუროთ ღმერთს და ადამიანს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

+ ილია II

მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი,

ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტი

16.02.2023

patriarchate.ge